ბრძანება:**ბ34.3422014174**
თარიღი:**14/01/2022**

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის''54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა'' ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ '' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 12 იანვრის N 35-35220123 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ა ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
ა) საბჭოს თავმჯდომარე - მერის მოადგილე - გიორგი ბაჯაძე.
ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, განათლებისა და კულტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინნა ახალბედაშვილი;
გ)საბჭოს მდივანი - განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, განათლებისა და კულტურის განყოფილების მეოთხე რანგის მე-2 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ნინო ჯანგირაშვილი. საბჭოს მდივანი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებს წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
დ) საბჭოს წევრები:
დ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სოფიო ბოჭორაძე;
დ.ბ) ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვისა და აღრიცხვის განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ქეთევან ყამბეგაშვილი;
დ.გ) განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილების ა(ა)იპ-ებთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ეკატერინე ავსაჯანიშვილი;
დ.ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - მიხეილ ბუჯიაშვილი.
2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: მცხეთა, სამხედროს ქ. N17 გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი